სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 118 (232) | ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი | 1944 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა დღეს, 25 ოქტომბერს, იერიშით დაიკავეს ქალაქები **სატუ-მარე** და **კარეი** — მოწინააღმდეგის თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები **ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში**. ამით ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს ტრანსილვანიის განთავისუფლება მოწინააღმდეგისაგან.

ქალაქების **სატუ-მარეს** და **კარეის** დაკავებისა და **ტრანსილვანიის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ჟმაჩენკოს**, გენერალ-პოლკოვნიკ **ტროფიმენკოს**, გენერალ-მაიორ **მერკულოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **პეტრუშევსკის**, გენერალ-ლეიტენანტ **გორიაჩევის**, გენერალ-მაიორ **ტიმოშკოვის**, გენერალ-მაიორ **უმანსკის**, გენერალ-მაიორ **კოზირის**, პოლკოვნიკ **ბელოდედის**, პოლკოვნიკ **ბოჩკოვის**, გენერალ-მაიორ **კინდიუხინის**, გენერალ-მაიორ **კონევის**, გენერალ-მაიორ **კარლოვის**, პოლკოვნიკ **ხოხლოვის**, პოლკოვნიკ **კოსტრიკინის**, პოლკოვნიკ **აბრამოვის**, პოლკოვნიკ **კორნაჩევის**, პოლკოვნიკ **ვინოგრადოვის**, პოლკოვნიკ **საშინის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ფომინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კარეცკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ლებედევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **პოპოვიჩის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ბარაუხოვის**, პოლკოვნიკ **სტიზიკის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **გორიუნოვის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სტეპიჩევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **კამანინის**, პოლკოვნიკ **საპრიკინის**, პოლკოვნიკ **კლობუკოვის**, პოლკოვნიკ **სემენენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ივჩენკოს**, პოდპოლკოვნიკ **კორიაკოვის**, პოდპოლკოვნიკ **ბერმანის**, მაიორ **კირეევის**, მაიორ **ლვოვსკის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ცირლინის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **პეტროვის**, პოლკოვნიკ **პონიმაშის**, პოლკოვნიკ **ბუდარინის**, პოლკოვნიკ **პავლენკოს** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ლეონოვის**, პოლკოვნიკ **გორელკინის**, პოლკოვნიკ **აგაფონოვის**, პოლკოვნიკ **კარპოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების **სატუ-მარეს** და **კარეის** დაკავებისა და **ტრანსილვანიის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ტრანსილვანიის**" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 ოქტომბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები **სატუ-მარე** და **კარეი** და გაათავისუფლეს **ტრანსილვანია**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **ტრანსილვანიის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 25 ოქტომბერი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მერეცკოვს

კარელიის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც გერმანელთა ჯარებს სდევნიან, გადალახეს **ნორვეგიის** სახელმწიფო საზღვარი და, ამიერპოლარეთის ძნელ პირობებში, დღეს, 25 ოქტომბერს, დაიკავეს ქალაქი **კირკენესი** — მნიშვნელოვანი ნავსადგური ბარენცის ზღვაში.

ქალაქ **კირკენესის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **შჩერბაკოვის**, გენერალ-მაიორ **აბსალიამოვის**, გენერალ-მაიორ **ნიკულსკის**, გენერალ-მაიორ **კოროტკოვის**, გენერალ-მაიორ **ჟუკოვის**, პოლკოვნიკ **სოლოვიოვის**, პოლკოვნიკ **ზრებენკინის**, გენერალ-მაიორ **პანინის**, პოლკოვნიკ **კავერინის**, პოლკოვნიკ **კოშჩიენკოს**, პოლკოვნიკ **ლისენკოს**, პოლკოვნიკ **კალინოვსკის**, გენერალ-მაიორ **ხუდალოვის**, პოლკოვნიკ **ბლაკის**, პოლკოვნიკ **ამვროსოვის**, გენერალ-მაიორ **სოკენკოს**, პოლკოვნიკ **სტარცევის**, პოლკოვნიკ **ნიკანდროვის**, პოდპოლკოვნიკ **ევენოვის**, პოლკოვნიკ **კრილოვის**, პოლკოვნიკ **რასოხინის**, პოდპოლკოვნიკ **ციპიშევის**, პოდპოლკოვნიკ **პიდუსტის**, მაიორ **პასკოს**, პოდპოლკოვნიკ **ლაზარევის**, პოდპოლკოვნიკ **ჩირნევსკის**, პოდპოლკოვნიკ **პოვარენკოვის**, პოდპოლკოვნიკ **კოპილას** ჯარებმა; 1-ლი რანგის კაპიტან **კუზმინის**, 1-ლი რანგის კაპიტან **კლევენსკის**, მე-2 რანგის კაპიტან **კორშუნოვიჩის**, მე-3 რანგის კაპიტან **ზიუზინის** მეზღვაურებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **დეგტიარევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **პანიტკინის**, პოლკოვნიკ **იაროსლავცევის**, პოლკოვნიკ **გრიგორიევის**, პოლკოვნიკ **გუნდიუკევიჩის**, პოლკოვნიკ **მანიაკინის**, პოლკოვნიკ **ლიხუტას**, პოლკოვნიკ **ხრამოვის**, პოდპოლკოვნიკ **გოლდიხოვის**, პოდპოლკოვნიკ **ფეტისოვის**, პოდპოლკოვნიკ **ერესკოს**, პოდპოლკოვნიკ **შაპიროს**, პოდპოლკოვნიკ **შებელის**, პოდპოლკოვნიკ **ზუბარევის**, პოდპოლკოვნიკ **კრივოშეევის**, მაიორ **გოლუბევის**, მაიორ **ედემსკის**, მაიორ **ვაკუროვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კონონოვის**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოლკოვნიკ **იურენკოვის**, პოდპოლკოვნიკ **სუჩკოვის**, პოდპოლკოვნიკ **ლეშჩენკოს**, პოდპოლკოვნიკ **კორშუნოვის**, პოდპოლკოვნიკ **ტერენტიევის**, პოდპოლკოვნიკ **ტარჩილინის**, პოდპოლკოვნიკ **არშინევსკის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სოკოლოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **პრეობრაჟენსკის**, პოლკოვნიკ **უდონინის**, პოლკოვნიკ **ლარიუშკინის**, პოლკოვნიკ **ფენოგენოვის**, პოლკოვნიკ **კალუგინის**, პოლკოვნიკ **მინაევის**, პოლკოვნიკ **პუშკარევის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ხრენოვის**, პოლკოვნიკ **ლეიჩიკის**, პოლკოვნიკ **არშბას**, პოდპოლკოვნიკ **ზახაროვის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **დობიკინის**, პოლკოვნიკ **ეკიმოვის**, სახელმწიფო უშიშროების მაიორ **გავრილოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **კირკენესის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**კირკენესის**" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 ოქტომბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს კარელიის ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **კირკენესი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **კირკენესის** დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 25 ოქტომბერი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

დაინიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს რწმუნებული საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის საქმეებზე

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით გენერალ-პოლკოვნიკი **ფ. ი. გოლიკოვი** დანიშნულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულად იმ საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის საქმეებზე, რომლებიც ტყვეობაში იმყოფებოდნენ და ძალდატანებით წაყვანილი იყვნენ გერმანიაში და მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში.

მის მოადგილეებად დანიშნული არიან: გენერალ-პოლკოვნიკი **ი. ვ. სმოროდინოვი** და გენერალ-ლეიტენანტი **კ. დ. გოლუბევი**. რეპატრიაციის საქმეთა რწმუნებულის თანაშემწეებად დანიშნული არიან გენერალ-მაიორი **ვ. მ. დრაგუნი** და **ა. ა. სმირნოვი**.

რეპატრიაციის საქმეთა რწმუნებულს დაკისრებული აქვს უხელმძღვანელოს სსრ კავშირის მოქალაქეთა დაბრუნებას გერმანიიდან და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნებიდან, წითელი არმიისა და მოკავშირეთა ჯარების მიერ მათი განთავისუფლების მიხედვით, და მოაწყოს სსრ კავშირის განთავისუფლებულ მოქალაქეთა გამომგზავრება სამშობლოში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
25 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

კარელიის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც გერმანელთა ჯარებს სდევნიან, გადალახეს **ნორვეგიის** სახელმწიფო საზღვარი და ამიერპოლარეთის ძნელ პირობებში 25 ოქტომბერს დაიკავეს მნიშვნელოვანი ნავსადგური **ბარენცის** ზღვაში — ქალაქი **კირკენესი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს **ნორვეგიის** ტერიტორიაზე 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **კროფტფეტირბუკტი, სტურბუკტი, იაარდფიერბოტნი, როპელვენი, იაკობსნესი, ელვენესი, ბიერკბეიმი, ხებუტენი, ხანდნესი, ბიერნევანდი, ლონგფიორდბოტნი, ნიგორდი, ფოსგორდი, ლანგლი, ხვანვიკი**.

ლიბავის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების არაერთგზისი იერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, სძლიეს მტრის წინააღმდეგობა და კონტრიერიშები და შეუპოვარი ბრძოლებით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მთელი რიგი ძლიერი გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები, მათ შორის **ბალდენი, კეტერაიჩენი, ვილკიშენი, დრუსკენი, გარაიშკემენი, ლაფიშკემენი, კაბალენი, გროს ტრაკენენი, მატცუტკემენი აიზენჯიუტე, გროს ტრეკიშკენი, შუიკენი, კლაინ-კუმეტშენი**.

პრაგის (ვარშავის გარეუბანი) ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები, პოლონეთის 1-ლი არმიის ნაწილებთან ერთად, ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ლაისკი, ვულიშევო, ვენგერსკიე-კონტი, რემბელშიზნა, რუქოკოლე, ხოშჩუვკა, დომბრუვკა, კლუდი, გენრიკუვი, ტარხომინი, ჟერანი**.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე **მუკაჩევოს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და საინჟინრო

(დასასრული მე-4 გვ.).

გერმანიის კარიბჭე შელეწილია!

ბედნიერი იყოს თქვენი გზა, მამაცო საბჭოთა გმირო მეომრებო!

ჩვენი ჯარები აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრნენ

23 ოქტომბერი ღირსშესანიშნავი თარიღია სამამულო ომის ისტორიაში. ამ დღეს მოსკოვის სალუტმა გვამცნო, რომ არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს გერმანელთა ხანგრძლივი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებს იფარავდა, და აღმოსავლეთ პრუსიის ფარგლებში შეიჭრნენ.

სრული პროფილის სანგრების ხაზები, დანაღმული მინდვრები, მავთულღობეების ხშირი ქსელი, ბრძოლის სპირალები, ძლიერი რკინაბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები, მრავალი ღია საარტილერიო პოზიცია, ტანკსაწინააღმდეგო თხრილები — ასეთი ხასიათისაა მტრის თავდაცვითი ზღუდეები აღმოსავლეთ პრუსიის მისადგომებზე. და ასეთი კარგად მოწყობილი ზღუდეები მტრის ტერიტორიის წინ რამდენიმე იყო, ისინი განლაგებული ერთიმეორისაგან 3-4 კილომეტრი ინტერვალით, ხოლო მათ უკან განლაგებული იყო ძლიერი გამაგრებული რაიონების მთელი სისტემა, რომლებიც აღჭურვილი იყო რკინაბეტონის ნაგებობებით. ასობით სარტყლური ბატარეა, რომლებიც განლაგებული იყო თავდაცვის წინა კიდეზე და სიღრმეში, იფარავდა მოწინააღმდეგის გამაგრებული რაიონების მისადგომებს.

მტრის ტერიტორიაზე შეჭრას განსაკუთრებით აღნიშნავდა ჩვენი ჯარების ყველა გვარეობა. ყველანი — ჯარისკაცით დაწყებული და გენერლით გათავებული — მოუთმენლად ელოდებოდნენ იმ მომენტს, როცა ისინი დაარტყამდნენ ფაშისტებს მათს ტერიტორიაზე. დილიდანვე საწყისი პოზიციებისაკენ მიდიოდნენ ტანკები, ქვემეხები, მანქანები საომარი მასალითა და საწვავითა, უწყვეტ ნაკადად ეძვროდნენ სატვირთო მანქანები. თვითმფრინავები განუწყვეტლივ ზრიალებდნენ ფრონტის ხაზის თავზე და საშუალებას არ აძლევდნენ გერმანელ მზვერავებს თვალყური ედევნებინათ ჩვენი დივიზიების მოძრაობისათვის, ტექნიკის მიტანისათვის.

იერიში დაიწყო ღამის [illegible] მასირებული თავდასხმებით.

დილაადრიან ამეტყველდა საბჭოთა არტილერია. ასობით ბატარეა ურტყამდა წინასწარ ნიშნულ მიზნებს. საშინელი ძალის [illegible] კანონადამ ორ საათს გასტანა, ცეცხლის გრიგალი მძვინვარებდა მოწინააღმდეგის განლაგებაში. ფაშისტთა თავდაცვითი ნაგებობანი ინგრეოდნენ ჩვენი არტილერისტების ძლიერი დარტყმებით.

გაძლიერებული საარტილერიო მზადების დროს დაიძრნენ ნ ნაწილის მოიერიშეები. საბჭოთა კავშირის გმირმა მაიორ სმირნოვმა წაიყვანა თვითმფრინავთა პირველი ესკადრილია. მფრინავებმა დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

მაგრამ აი წუთით მიწყნარდა საარტილერიო კანონადა. შეწყდა საავიაციო ბომბების აფეთქება. ამ მომენტში მრისხანე სიჩუმე დაარღვია ძლიერმა „ურამ". საიერიშოდ გაემართა საბჭოთა ქვეითი ჯარი. იერიშზე გადასული ყოველი ჩვენი მებრძოლი გამსჭვალული იყო ერთი სურვილით — პირველი შეჭრილიყო გერმანელთა სანგრებში, პირველი მისულიყო გერმანიის საზღვრამდე, პირველი შესულიყო გერმანიის მიწა-წყალზე დამსჯელი ხმლით...

კვლავ აგრიალდნენ ქვემეხები. ქვეითები უშიშრად მიჰყვებოდნენ ცეცხლის ტალღას და უახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგის განლაგებას, ხოლო შემდეგ სწრაფი ნახტომით შეიჭრნენ მტრის თავდაცვაში. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლები. ჰიტლერელები შედრკნენ და უკან დახევა დაიწყეს.

ჩვენი ნაწილები სდევნიდნენ მოწინააღმდეგეს და ათავისუფლებდნენ საბჭოთა ლიტვის მიწა-წყლის უკანასკნელ კილომეტრებს. ქვეითები, ტანკისტები და არტილერისტები ჟლეტდნენ ჰიტლერელებს, შლიდნენ მათს თავდაცვით ზღუდეებს და გერმანიის ტერიტორიაზე იჭრებოდნენ. ეს იყო სიტყვით გამოუთქმელი წუთი, რომელზედაც ბევრი ოცნებობდა, რომელსაც გერმანელები ელოდნენ ჯერ კიდევ მოსკოვის ახლო მდებარე ადგილებში და სტალინგრადში, ბელორუსიაში და ლიტვის მიწა-წყალზე. ბრძოლის სიფიცხით მოცული საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები მტერს ულეწავდნენ მის ბუნაგში.

აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზე გაჩაღდა უდიდესი მასშტაბის ბრძოლა. ჰაერში, სადაც [illegible], მიდიან საბჭოთა მოიერიშეები და ბომბდამშენები. [illegible] მიწის პირზე მტრის სქელი ღრუბლები. ტანკების მღრიალით იერიშზე გადადის ქვეითი ჯარი. სანგრებს მისდევენ მძიმე ბრძოლები. ბრძოლის მსვლელობაში ისინი საცეცხლე პოზიციებს იცვლიან. ბრძოლა სულ იქით და იქით დასავლეთისაკენ გადადის. და უკვე საბჭოთა გვარდიის გამანადგურებელი დარტყმის ქვეშ მტრის ჯარები გერმანიის ქალაქ შირვინდტის ქუჩებში.

წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი შირვინდტი და სწრაფად მიიწევდნენ წინ მტრის ტერიტორიის სიღრმეში, ბრძოლებით იკავებდნენ მოწინააღმდეგის სხვა გამაგრებულ პუნქტებს, რომლებიც განლაგებული იყვნენ აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე. მტერი მძვინვარებდა. მან ზედიზედ მოაწყო კონტრიერიში. გერმანელებმა ბრძოლაში გადაისროლეს ქვეითი ჯარის ახალი ნაწილები და ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების დიდი ჯგუფები. ჰაერში გამოჩნდა ჰიტლერელთა ავიაცია, მაგრამ არაფერმა არ შეაჩერა ჩვენი მეომრების შეტევის შემართება. მოწინააღმდეგის კონტრიერიშები სრული მარცხით დამთავრდა.

დიდ ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს ჩვენი სატანკო ქვედანაყოფები. სატანკო ეკიპაჟები სპობდნენ გზებზე გაყვანილ მტრის სანგრებს, იჭერდნენ თვითმავალი ქვემეხების დარტყმებს და მიიწევდნენ წინ, დასავლეთისაკენ. ხშირად ტანკისტები არ ელოდებოდნენ ქვეითი ჯარის მოსვლას, თვითონ იჭრებოდნენ გერმანელთა თავდაცვაში და წინ მიიწევდნენ. მოწინააღმდეგის ერთი დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტის რაიონში საბჭოთა სატანკო ქვედანაყოფებმა გადაჭრეს მთელი რიგი სიმაღლეები, გზაჯვარედინები და უკანდასახევი გზა მოუჭრეს გერმანელთა დიდ დაჯგუფებას.

ბრძოლების მსვლელობაში ჰიტლერელებმა მძიმე ზარალი ნახეს. სანგრებში, ხანგრძლივ საცეცხლე წერტილებსა და ბლინდაჟებში ბევრია ათასობით გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამი. ჰიტლერელთა გვამებით მოფენილია გზები და დიდი დასახლებული პუნქტების გარეუბნები და ქუჩები. მძიმე ქვემეხთა ნაწილის ტყვედ წამოყვანილმა მეთაურმა დაკითხვაზე სთქვა, რომ, მის გარდა, ბრძოლაში ორი ჯარისკაცი გადარჩა. ასეთივე ზარალი ნახეს გერმანელთა ბევრ სხვა ქვედანაყოფსაც.

საფრონტო გზებზე, გერმანელთა დაკავებული ქალაქების მისადგომებზე, დასახლებული პუნქტების ქუჩებში ბევრია გერმანელთა ასობით დამტვრეული ქვემეხი, ტანკი, თვითმავალი ზარბაზანი და ჯავშანტრანსპორტიორი. საბჭოთა ნაწილებმა ხელთ იგდეს დიდი ალაფი.

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები განაგრძობენ წარმატებით შეტევას.

კ. პუხოვი

აღმოსავლეთ პრუსია, 24 ოქტომბერი (ხაკდეხის ხელც. კორ.).

ფაშისტი მხეცის ბუნაგის კარი შელეწილია!

— ამრიგად, ლენინგრადი! დამსჯელი ხელი ისტორიული მართლმსაჯულებისა მაგრად სწვდა ყელში იმათ, რომლებიც თავიანთ დაუსჯელობაში ესოდენ თავხედურად გულდაჯერებულნი შემოესივნენ რუსეთის მიწა-წყალს გასაძარცვავად და გასაპარტახებლად. „ჩვენი საზღვრები მდინარე ამურზე იქნება და არა ნიმანზე", — ასე გამოთქვამდნენ ალტაცებულ ჰიტლერული გაზეთები კენიგსბერგსა და ბერლინში 1941 წლის ზაფხულის დამდეგს.

ახლა ისინი ალბათ შეეცდებიან დაივიწყონ თავიანთი ეს სულელური „წინასწარმეტყველება". მაგრამ ჩვენ არ დავივიწყებთ, ისევე როგორც არ დავივიწყებთ იმას, რომ სწორედ აღმოსავლეთი პრუსია მუდამ იყო მთავარი კერა, იდეოლოგიური სანაშენე გერმანიის იმპერიალიზმისა მისი [illegible], ყველაზე ველური, ბოროტი და აგრესიული ფორმით.

„[illegible] ლოზუნგი, — [illegible] არ ვაპატიოთ, არამედ ვულეტოთ" — [illegible] კენიგსბერგისა და ტილზიტის პრესიდან, რომელიც ძველთაგანვე [illegible] გერმანელების გამოყენებინათ ეს კაიზერისტული „[illegible]" პოლიტიკოსებისა და იუნკერების ზიზღით. და ჩვენ, იმ ადამიანებმა, რომლებიც საკუთრივ ვსწავლობთ დოკუმენტებით გერმანელთა მხეცობის შესახებ, დიდი ხანია გამოვარკვიეთ, რომ გერმანელთაგან ყველაზე ველური და სისხლმოწყურებული მხეცები აღმოსავლეთ პრუსიელები იყვნენ.

დიდება სტალინური წითელი არმიის მეომრებს! ისინი დამსჯელებისათვის [illegible] ფაშისტ მხეცს, ისინი უკვე შეიჭრნენ მის ბუნაგში და აქ მოუღებენ მას ბოლოს!

დიდება ჩვენს სტალინს!

აკადემიკოსი ე. ტარლე.

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. (ტასსი).

ამ დღეზე ვოცნებობდით

ჩვენი ჯარები შეიჭრნენ აღმოსავლეთ პრუსიაში. მე ვუსმენდი რადიოს და გასაოცარი სიზუსტით მაგონდებოდა ყოველივე რაც კი მე, საბჭოთა ქალიშვილს გადამხდა ამ სისხლისმღვრელი ომის წლებში. მომაგონდა 22 ივნისი, როდესაც ფაშისტთა ტანკებმა გადასთელეს ჩვენი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს მიჯნა. მომაგონდა მძიმე თავდაცვითი ბრძოლები, რომლებშიაც მე, წითელ არმიაში ნებაყოფლობით წასულმა, მონაწილეობა მივიღე. მაგონდება დატანჯული ლტოლვილნი, ბარბაროსულად დაბომბილი მშვიდობიანი ქალაქები და სოფლები, ჩემთვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანები, რომელნიც აწამეს გესტაპოს სარდაფებში ან კიდევ დახვრიტეს თხრილებში. მე ვუსმენ რადიოს და ვფიქრობ პუშკინისა და ტოლსტოის წმიდა სადგომებზე, რუსეთის ძველ ქალაქებზე, ყოველივე იმაზე, რაც კი წარმოადგენს რუსი ხალხის საუკუნოებრივ დიდებას. გერმანელმა წაბილწა, დაანგრია, ცეცხლის ალში გახვია ბევრი რამ, რაც ჩვენთვის წმიდათაწმიდას წარმოადგენდა. ყოველივე ამას რუსი ხალხი არასოდეს არ აპატიებს გერმანელს.

ჩვენი მეომრები, ჩვენი სახელოვანი საბჭოთა გოლიათები ანადგურებენ ფაშისტ-მხეცს მისივე საკუთარ ბუნაგში. ამით საბჭოთა მეომრები ასრულებენ დიდი სტალინის ბრძანებას და ხალხის ნებასურვილს. ჩვენ ვიცით, რომ წინ მრავალი თავდაცვითი ზღუდეებია, ბე- [illegible] შეთამბაკლებული და ცეცხლწამკიდებელნი შეეცდებიან ამოეფარონ ბეტონსა და ფოლადს. მაგრამ ყველა ეს ზღუდეები დალეწილი იქნება და საბჭოთა ხალხის სამართლიან დამსჯელ ხელს ვერსად ვერ დაემალებიან [illegible] ჯალათები.

გერმანელები იყვნენ ჩემს სამშობლოშიც. ძნელია ყველა იმის მოგონება, რაც ჩაიდინეს ამ მხეცებმა ყირიმში. ჩემი ძმა, რომელსაც მაშინ თექვსმეტი წელი შეუსრულდა, პარტიზანად გაიჭრა. მან შური იძია ყირიმის ტანჯვისათვის. დანარჩენი ჩემი ძმები და სკოლის ამხანაგები იბრძვიან ფრონტებზე. და დღეს, გადალახეს რა აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარი, მათ მოაგონდებათ ჩვენი სკოლა, რომელიც ჰიტლერელებმა დასწვეს, დანგრეული სევასტოპოლი და აჯი-მუშკაის ტრაგედია. ისინი შევიდნენ გერმანიაში როგორც მსაჯულნი, რომელთაც უფლება აქვთ დასაჯონ გერმანელი ჯალათები.

მხურვალედ ვისურვებ ჩემს ძმებს, ჩემს ფრონტელ ამხანაგებს — დაე თქვენი დამსჯელი ხელი იყოს შეუბრალებელი, დაე მათ, ვინც სისხლითა და ცრემლით მორწყო ჩვენი მიწა-წყალი, თავს დაატყდეს ჩვენი სამშობლოს დიდებით მოსილი ხმალი.

მალე, სულ მალე, ჩვენი მეომრები იქნებიან ბერლინში და ისინი ბოლოს მოუღებენ ტრაგედიას, რომელიც დაიწყო 1941 წლის 22 ივნისს.

ეფრეიტორი ვ. კოსენკო

წითელი არმიის უდიდესი ისტორიული გამარჯვება

მიტინგები და კრებები თბილისის საწარმოებში

უდიდესი სიხარული და შრომითი ენთუზიაზმის ახალი აღმავლობა გამოიწვია უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ბ. სტალინის 1944 წლის 23 ოქტომბრის ისტორიულმა ბრძანებამ ბელორუსიის მე-3 ფრონტის სახელოვანი ჯარების აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრის შესახებ.



საბჭოთა არტილერისტები ფრონტისაკენ მიდიან

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებით აღფრთოვანებულმა სტახანოველებმა ა. [illegible], ნ. ბადანაშვილმა, ბოკერიამ, [illegible], ოსიპოვმა და სხვ. იკისრეს დავალებათა ვადამდე შესრულება. ოქტომბრის დიდი დღესასწაულისათვის ისინი ახალ საწარმოო საჩუქრებს მიუძღვნიან დიდ სამშობლოს.

ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. კაჭკავა, მუშებმა გადაწყვიტეს წითელი არმიის აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრის თარიღი აღნიშნონ სტახანოვური ვახტით მასიური გამოსვლით, საწარმოო დავალებათა ორმაგი და სამმაგი შესრულებით. პირველ დღესვე, 24 ოქტომბერს, ბევრმა მათგანმა უკვე გაანაღდა ეს დაპირება. ამხ. [illegible] რომმა ამ დღეს 312 პროცენტით შეასრულა დღიური საწარმოო დავალება. ბრიგადირმა სტახანოველმა ფირსაკოვმა, რომელმაც უკვე შეასრულა წლიური გეგმა, იკისრა 7 ნოემბრამდე დაამთავროს ყველა ის სამუშაო, რაც 1945 წლის 1 კვარტლისათვის არის გათვალისწინებული.

შრომითი ენთუზიაზმის ასეთივე მძლავრი აღმავლობით აღინიშნა აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ჯარების ძლევამოსილი შეჭრა თბილისის მთელ რიგ სხვა ფაბრიკა-ქარხნებში. თბილისის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან მშობლიურ დიდ სტალინს, გმირ წითელ არმიას და ამ ახალ ისტორიულ გამარჯვებას აღნიშნავენ ფრონტული მუშაობით, საწარმოო დავალებათა ვადამდე და მაღალხარისხოვანი შესრულებით.

ოთხი ძმა

ჩოხატაურის რაიონში, სოფ. კოხნარში გაიზარდნენ ძმები კიკვაძეები — ვლადიმერი, კონსტანტინე, ავთანდილი და აბელი. ეს ოთხი ძმა საბჭოთა ხელისუფლებამ ჭეშმარიტ პატრიოტებად აღზარდა. ისინი ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, როდესაც ბუხრის წინ ცეცხლის პირას ჩამომსხდარნი უსმენდნენ ბაბუას, რომელიც უამბობდა მათ თამარ მეფის, დიმიტრი თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის, გიორგი სააკაძის და პატარა კახის გმირული საქმეების შესახებ. მაგრამ მათ განსაკუთრებით იტაცებდა ცხრა ძმა ხერხეულიძის სამშობლოსადმი თავდადების ამბავი.

— ოთხნი ვართ, მაგრამ ხერხეულიძეებივით ვაჟკაცები ვიყოთ. — ასე დაიბარა უფროსმა ძმამ ვლადიმერმა, როდესაც იგი წითელ არმიაში წავიდა. ვლადიმერმა საარტილერიო სასწავლებელი დაამთავრა და ლეიტენანტი გახდა. მას წაჰბაძა მეორე ძმამ კონსტანტინემ. ისიც საარტილერიო სკოლაში შევიდა და მალე ლეიტენანტობა მიიღო. არც მომდევნო ძმები ჩამორჩნენ უფროსებს, მათაც ეს გზა აირჩიეს. სამამულო ომის პირველ თვეებიდან უკვე ოთხივე ძმა არტილერისტია. მათი ქვეგანაყოფები მოწინავენი არიან. ისინი ერთმანეთს ჰბაძავენ და უფრო და უფრო სრულყოფილად ეუფლებიან თავიანთ მრისხანე იარაღს — ქვემეხს.

სამამულო ომის განმავლობაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა კონსტანტინე კიკვაძემ. მან გაიარა ბრძოლის დიდი გზა. იგი იბრძოდა კავკასიის კალთებზე და თავისი ქვემეხებით ანადგურებდა ფაშისტთა ურდოებს. მონაწილეობას იღებდა ნოვოროსიისკის აღებაში, ტამანიდან გერმანელების გადევნაში, ყირიმის განთავისუფლებაში. მისი ქვეგანაყოფის ქვემეხებს მტრის მრავალი ბატარეა გაუნადგურებია, ბევრი საცეცხლე წერტი ჩაუხშობია და არაერთი ათეული ფაშისტი მოუსპია. კონსტანტინე კიკვაძის მკერდს ამშვენებს სამამულო ომის მეორე ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები, აგრეთვე მედალი „კავკასიის დაცვისათვის".

უფროსი სერჟანტი შ. ესაკია.

ბელორუსიის პირველი ფრონტი. მამაცთა სიკვდილით დაღუპულ საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე მატროსოვის ნაცვლად წითელი არმიის რიგებში მოვიდა მისი უფროსი ძმა ვასილი, რომელმაც საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ბრძოლებში მამაცობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის ვ. მატროსოვი დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხისა და დიდების III ხარისხის ორდენებით. სურათზე: უფროსი სერჟანტი ვ. მატროსოვი და სერჟანტი ი. ნეპოჩატოვ ტყვიამფრქვევს ესვრიან მტერს.

ფოტო მ. მარკოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა)

უფროსი სერჟანტი შოთა ლომსაძე

გიორგი მაისურაძე

...და როცა მტრები კამარას
შავი ნისლებით ხურავდნენ,
ქართლის ველს ემუქრებოდნენ,
მთებს—ფირუზმანის სურათებს,
წინ დავხვდი, არ გამოუშვი
გიორგი მაისურაძემ.

შევფიცე დედა სამშობლოს,
სტალინის ყრმობის ბინასა.
ლენინის დროშას ვიცავდი,
გულში ვიდგამდი რქინასა,
ბელორუსიის მიწაში
ახლაც სიმხნევეს ვინახავ.

და როცა სიკვდილს წინ ვუდექ,
ერთი ვარსკვლავი ბრწყინავდა.
მეგონა დედის კალთაში
თავი მედო და მძინავდა.
თან ჩამძახოდა: გიორგი,
მე გაგზარდეო შვილადა.

მტრის ტყვიამფრქვევი ელავდა,
სიკვდილს აფრქვევდა ტრამალებს.
გზას გვილობავდნენ ყოველმხრივ,
ჩუმად გვითხრიდნენ სამარეს.
ცეცხლის ბუდიდან გვაყრიდნენ
ტყვიას ვერაგულს, ნამალევს...

სიკვდილი იდგა ყველასი
განა ერთის და ორისა...
ბრწყინავდა იგი ვარსკვლავი,
ის ვერაფერმა მონისლა.
მე გავზარდეო შვილადა—
კვლავ დედისაგან მოისმა.

წამოვდექ, ისევ დავწექი,
ელავდა ტყვია მუხთალი.
ფიქრში საყვარელ დედიკოს
მარად მშვიდობა ვუთხარი.
სახლკარსაც გამოვეთხოვე,
ბალი დავკოცნე ნუგბარი.

მოვწყდი იმ ადგილს, გავქანდი
სადაც მტრის ტყვია ელავდა...
და ამბრაზურას მივეკარ,
მკერდი ტყვიებით დელავდა.
მზეც ჩადიოდა... ცის თაღზე
ჩვენს გამარჯვებას ფერავდა.

სამშობლოსათვის დავეცი,
სიკვდილს ვუდექი მცინარი.
ჩემი სალავი აქ არი,
ბრძოლა კი ისევ წინ არი.
მტერს დახცხეთ, მოგეშველებით,
არვის გეგონოთ მძინარი.

უინიციატივობის შედეგად

— რა არის ახალი ფრონტზე? ხომ არ მოგისმენიათ ვინმეს რადიოგადაცემა? — ხშირად ეკითხებიან მებრძოლები ერთმანეთს.

— არ ვიცით. ბინაში ხომ რადიო არა გვაქვს!

— იქნებ ჩვენმა აგიტატორმა მოუსმინა რადიოს.

აგიტატორი სდუმს. მას მხოლოდ ახლა ახსენდება, რომ დილის 7 საათზე რადიოგადაცემისათვის უნდა მოესმინა და მოკლედ ჩაეწერა უკანასკნელი ცნობები.

— აი გაზეთი მოვა და წავიკითხოთ. გაზეთში ხომ ყველაფერია დაბეჭდილი,—ასე ანუგეშებს იგი მებრძოლებს.

— გაზეთი? როდის იყო რომ ჩვენთან ახალი გაზეთი მოჰქონდათ. უცაღე გაზეთს. ქვეყანამ იცის რა მოხდა დღეს ფრონტებზე. ჩვენ კი თითქოს მოშორებულ კუნძულზე ვცხოვრობდეთ...

ხშირად გაიგონებთ ასეთ საუბარს იმ ქვეგანაყოფის მებრძოლთა შორის, სადაც პარტორგად უმცროსი ლეიტენანტი ბურჭულაძეა.

მებრძოლებს აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის ახალი ამბები, გმირული წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის მიმდინარეობა, მაგრამ ამ საკითხებზე მათ დროულად არავინ ესაუბრება.

ქვეგანაყოფის საცხოვრებელ ბინაში რადიოს გამოყვანა ადვილი საქმეა. საამისო მასალის შოვნაც ადგილობრივ შეიძლება, მაგრამ ამ საქმით არავინ დაინტერესებულა. გაზეთი კი დაგვიანებით მოდის. მიღებულ გაზეთს არ ინახავენ. ამიტომაც იგი ყველა მებრძოლამდე ვერ აღწევს.

ქვეგანაყოფში გამოუყენებელია მასობრივი მუშაობის დრო. ამის მთავარი მიზეზია სინათლის უქონლობა მებრძოლთა საცხოვრებელ ბინაში. მეზობელ ყაზარმაში სინათლეა. რამოდენიმე ათეული მეტრი მავთულის შოვნა ადვილი საქმეა, მაგრამ აქაც საქმეს უინიციატივობა აფერხებს.

(ჩვენი სპეცკორესპონდენტისაგან)

პროფ. კ. ვ. ბაზილევიჩი

რუსული სამხედრო ხელოვნება

(გაგრძელება*)

განიცადა რა ორი სერიოზული დამარცხება, რუსეთის არმიამ ძლიერ სწრაფად შეითვისა ის პრინციპები, რომელთა მეოხებითაც ნაპოლეონი სჯობნიდა მოწინააღმდეგეთ, კერძოდ—ფრანგების საბრძოლო წყობილება (საზაზო ტაქტიკიდან ღრმა წყობილებაზე გადასვლა). ამის გაკეთება მით უფრო ადვილი იყო, რადგან ნაპოლეონის სამხედრო სისტემა თავისი ნაციონალური ხასიათით ყველაზე უფრო ახლო იდგა რუსეთის არმიასთან, რომლის დაკომპლექტება სწარმოებდა მოსახლეობის სამხედრო ვალდებულების საფუძველზე, ოღონდ რუსეთის არმიაში შეჭრევისათვის ექვნებდნენ გაშლილ წყობილებას, კოლონებით წყობილებას და სხვ. რუსეთის არმია უკვე გაცნობილი იყო ახალ საბრძოლო წყობილების საფუძვლებს.

რუსეთთან ომში ნაპოლეონი შეხვდა არა მარტო რუსთა მამაც არმიას, რომელიც გამსჭვალული იყო სუვოროვის შეტევითი სულისკვეთებით, არამედ გენიალურ რუს მხედართმთავრის მოწაფეებს — კუტუზოვს, ბაგრატიონს, პლატოვს, კულნევსა და სხვ.

კუტუზოვის სახით რუსეთის არმიას ჰყავდა სუვოროველი სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა დაგვენახა კუტუზოვის მოქმედებაში უბრალო მიბაძვა მის დიდ მასწავლებლისადმი ან კიდევ განვეხილეთ კუტუზოვის მიერ ომის წარმოების ხერხები და სუვოროვის ხელოვნება, როგორც ორი სხვადასხვა სტრატეგიული სისტემა (ხანდახან სუვოროვს ადარებენ ჰანიბალს, ხოლო კუტუზოვს რომის აუჩქარებელ მხედართმთავარ ფაბიუს „კუნკტატორს"). ნამდვილად კი სუვოროვის ტრადიციებისადმი ერთგულება კუტუზოვს სრულებით ხელს არ უშლიდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და ორიგინალური მხედართმთავარი.

კუტუზოვი, ისე როგორც სუვოროვი, დახავსებული შაბლონის მტერი იყო. ამიტომ მას საუცხოოდ ესმოდა, რომ სუვოროვული ხერხების ზუსტად გამოყენება, როგორც ფართო სტრატეგიულ ოპერაციებში, ისე ბრძოლის ველზე ნაპოლეონის ომების პირობებში, არ იყო საჭირო და არც შეიძლებოდა. კუტუზოვის სახით ნაპოლეონს საქმე ჰქონდა უძლიერეს მოწინააღმდეგესთან, და თუ ვილაპარაკებთ კუტუზოვზე ნაპოლეონის გავლენის შესახებ, მაშინ უნდა აღვნიშნოთ პირიქითაც — კუტუზოვმა აიძულა ნაპოლეონი გადაესინჯა ომის წარმოებისათვის მის მიერ გადაწყვეტილი ზოგიერთი საკითხი.

კუტუზოვმა გამოავლინა სუვოროველი ენერგია და შეუპოვრობა. ასეთი სტრატეგიის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენენ კუტუზოვის ოპერაციები 1811-1812 წ. დუნაიზე თურქებთან ომის დროს. მაშინ კუტუზოვმა შემუსრა თურქეთის არმია მდინარის მარცხენა ნაპირზე და აიძულა იგი იარაღი დაეყარა. [illegible] მას მცირე ზარალი მოუვ[illegible].

კუტუზოვის სტრატეგიას ახასიათებდა განსაკუთრებული რეალიზმი, რაც ეყრდნობოდა მოწინააღმდეგის ყოველმხრივ ცოდნასა და საკუთარ შესაძლებლობას.

ყოველი სტრატეგის შესახებ მსჯელობენ მისი საბოლოო შედეგის მიხედვით. 1812 წელში კუტუზოვის სტრატეგიულ შედეგს წარმოადგენდა ნაპოლეონის 600-ათასიანი არმიის დაღუპვა. ამან კი წინასწარ გადასწყვიტა ნაპოლეონის მთელი სამხედრო და პოლიტიკური სისტემის ბედი, გამოიწვია დიდი მხედართმთავრის სამარცხვინო აღსასრული, რომელიც ოცნებობდა მსოფლიო ბატონობაზე.

კუტუზოვი შევიდა ისტორიაში, როგორც პარტიზანული ომის გამოჩენილი ორგანიზატორი, რომელმაც 1812 წელს უდიდესი როლი შეასრულა ნაპოლეონის განადგურებაში. ამასთან ერთად კუტუზოვმა მთელ მსოფლიოს უჩვენა ტაქტიკის საუცხოო ნიმუშები. ბოროდინოსთან ჯარებისათვის ბრწყინვალე ხელმძღვანელობის გაწევა წარმოადგენს თავდაცვითი ბრძოლის უდიდეს კლასიკურ მაგალითს.

გერმანელი სამხედრო მწერლები ცდილობდნენ ნაპოლეონი დაეხასიათებინათ, როგორც ფრიდრიხის სამხედრო ხელოვნების მემკვიდრე. ნამდვილად კი ნაპოლეონის სტრატეგია და ტაქტიკა წარმოადგენდა არამცთუ ფრიდრიხის იდეათა განვითარებას, არამედ მათს უარყოფას. როდესაც რუსეთის არმიის დახმარებით განთავისუფლებული და აღდგენილი იქნა პრუსია, გერმანელები იძულებული შეიქმნენ ჩაეტარებინათ მთელი სამხედრო სისტემის რეორგანიზაცია, ე. ი. მათ ხელი აიღეს ყოველივე იმაზე, რაც ფრიდრიხის მიერ იყო დატოვებული.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

* დასაწყ. იხ. № 110, 111, 112, 113, 114, 115, 116

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
25 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა
(დასასრული)

დაბრკოლებებს, ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ივზოლი, ოლდინცევო, ხოლოჩინი, პასიკი (14 კილომეტრზე მუკაჩევოს ჩრდილო-აღმოსავლეთით), დუსინა, დოვგე, ველიკი რაკოვეცი, როკოსოვი და რკინიგზის სადგურები ნელიპინო, დოვგე, ზადნე.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა 25 ოქტომბერს იერიშით დაიკავეს მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები და დიდი რკინიგზის კვანძები ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ქალაქები სატუ-მარე და კარეი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბატარჩი, ხალმეუ, ტურულუნგი, აგრისი, პელიშორი, ლაზური, ოსვარეუ, ვეტიში, დარა, სეტმერელი, ბილვაში, კომინი, ურზიჩენი, სტანისლეუ და რკინიგზის სადგურები ხალმეუ, მიკულა, ოსვარეუ, ლაზური, სეტმერელი, ბილვაში, სტანისლეუ, ამრიგად, ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს ტრანსილვანიის განთავისუფლება მოწინააღმდეგისაგან.

ფრონტის სხვა უბნებზე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

24 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 112 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 67 თვითმფრინავი.

* *

ჩვენი ავიაციის თავდასხმები ლიბავისა და ვინდავის ნავსადგურებზე და აღმოსავლეთ პრუსიაში ინსტერბურგისა და დარკემენის სარკინიგზო კვანძებზე

24 ოქტომბერს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაცია თავს დაესხა ლიბავისა და ვინდავის ნავსადგურებს და აღმოსავლეთ პრუსიის სარკინიგზო კვანძებს ინსტერბურგსა და დარკემენს.

[illegible]

* *

[illegible]

* * *

[illegible]

კალენდარი

ოქტომბერი 25 ხუთშაბათი

1840—დაიბადა ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი (გარდ. 1912 წ.).

1898—დაარსდა ლენინის ორდენის გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი.

1905—პეტერბურგში ჩამოყალიბდა მუშათა დეპუტატების საბჭო.

ნარევი

კასპიის დიდი ნიჟი და მწყემსის კეთილი ზული

[illegible]

ვეფხვი ქუჩაში

[illegible]

შემთხვევა ბაღში

[illegible]

ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარია

1944 წლის 25 ოქტომბერს მთელს ჩვენს ქვეყანაში იწყება ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთების გაყიდვა.

[illegible]

დაიჯებში დაბრუნებული არიან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ ომთან, და ფაშისტ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღსადგენად.

ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა ერთსულოვანი მონაწილეობა ლატარიაში დაეხმარება წითელ არმიას მალე მოსპოს მტერი მის საკუთარ ბუნაგში, დაეხმარება საბჭოთა სახელმწიფოს მალე მოაშუშოს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან მიყენებული ჭრილობები, სასიცოცხლოდ აღადგინოს მტრის მიერ დანგრეული ქალაქები, სოფლები და სამრეწველო საწარმოები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის პირობებსა და მისი ჩატარების წესს.

ლატარიის თანხა დადგენილია 5 მილიარდი მანეთის რაოდენობით. გამოშვებულ იქნება ამ თანხის 50 და 25-მანეთიანი ლატარიის ბილეთები. 50-მანეთიანი ლატარიის ბილეთი წარმოადგენს ორ 25-მანეთიან ბილეთს, რომელთაგან შეიძლება თვითეულს ხვდეს ცალკე მოგება.

ლატარიის ბილეთები გამოშვებულ იქნება ცალკე სერიებად 50 ათასი მანეთისა თვითეულ სერიაში, ამასთან, ლატარიის საერთო [illegible]

[illegible] ბილეთზე აღნიშნულია ბილეთის ერთი ნომერი (ფარგლებში № 0001-დან № 2000-მდე) და სერიის ორი ნომერი, ამასთან სერიის ორივე ნომერი აღნიშნულია ინტერვალებით, მაგალითად: ბილეთი № 0001, სერია 022001 და სერია 042001; ბილეთი № 0002, სერია 022002 და სერია 042002 და ა. შ. გათვალისწინებულია ლატარიის ფულადი და ნივთიერი მოგებანი, სულ გათამაშდება 5 მილიონი მოგება 1 მილიარდი მანეთის თანხისა, მათ შორის 4.874.900 ფულადი მოგება 846.200 ათასი მანეთისა და 125.100 ნივთიერი მოგება 153.800 ათასი მანეთის საერთო ღირებულებისა.

ფულადი მოგებათა ოდენობა და მათი რაოდენობა ასეთია: 400 მოგება 50 ათასი მანეთისა თვითეული; 250 მოგება 25 ათასი მანეთისა თვითეული; 9 ათასი მოგება 10 ათასი მანეთისა თვითეული; 18 ათასი მოგება 5 ათასი მანეთისა თვითეული; 35 ათასი მოგება ერთი ათასი მანეთისა თვითეული; 194 ათასი მოგება 500 მანეთისა თვითეული და 4617 ათასი მოგება 100 მანეთისა თვითეული.

ნივთიერი მოგებანი შესდგებიან შემდეგი ნივთებისაგან: 500 კრავილის ქალის პალტო, 600 ვალური საყელოიანი შალის ქალის პალტო, 2 ათასი ოქროს საათი, 2 ათასი კრავილის საყელოიანი შალის ქალის პალტო, 2 ათასი [illegible]

[illegible]

ლატარიის ბილეთების მიცემა ხელმოწერთათვის სწარმოებს დაუყოვნებლივ ბილეთების ღირებულების სრული გადახდის შემდეგ.

ლატარიის მთელი ანგარიშგება საკუთრივ უნდა დამთავრდეს 1945 წლის 1 იანვრისათვის ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, სახელმწიფო მართველობებსა და სხვა ორგანიზაციაში.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლაშქარიშვილი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე

ვ. დარასელი

გ—650448 რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175 С